ცნობის ფურცელი

VI წ. ყოველ-დღიური გამოცემა 1901 კვირა, 16 დეკემბერი № 1672

გაზეთის ფასი: წელიწადში—6 მან., თვეში—75 კაპ., ცალკე ნომერი—3 კაპ., ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით“ პირველ გვერდზე—10 კ. მეოთხეზე—5 კაპ.

ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „მოამბის“-„ცნობის ფურცლის“ რედაქციის კანტორაში ჯანქის დიდ ქუჩაზე, № 27 და წ. გამ. ქართველთა ამხანაგობის კიოსკში (ქვაშვეთის ეკლესიის პირდაპირ).

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირისპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათზე.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію «Цнобисъ-Пурцели»—«Моамбе». ტელეფონი № 372.

დარჩო და სონა არუთინოვი, სოფიო და ლაზარე მეარაყიშვილები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას

მაშო არუთინოვისას.

უმორჩილესათა სთხოვენ მობძანდნენ გამოსვენებაზე დასასწრებლად, მოსტოვის ქუჩაზე, საკუთარი სახლი № 26. საიდანაც გაასვენებენ ღვთის-მშობლის ეკლესიაში, მიხეილის ქუჩაზე, სამშაბათს, 18 დეკემბერს, დილის ათ საათზე. (1—1)

ქართული თეატრი

კვირას, 16 დეკემბერს 1901 წელს

ქართულ დრამატიულ საზოგადოების დასის მიერ წარმოდგენილი იქნება

« **დაკლებულის ფასებით** »

პირველად **კოტე მესხის** მონაწილეობით

I

ბორკილი

დრამა 4 მოქ. თ. სუმბათაშვილის თარგ. ახნაზაროვისა.

II

რაც არ შეერგება, არ შემერგება

კომედია 1 მოქმედებად.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ.ქ. გაბუნია-ცაგარლისა, ჩერქეზიშვილი, ტასო აბაშიძე, კარგარეთელი, ლეჟავა, ნებიერიძისა, მდივანი; ბ.ბ. მესხი, გუნია, გამყრელიძე, გედევანოვი, შათირიშვილი, აწყურელი, ურუშაძე, მირიანოვი და სხვ.

დასაწყისი სწორედ 8 საათზე. **ფასები დაკლებულია.**

შემდეგი წარმოდგენისათვის მზადდება ახალი პიესა „შედაგოგები“, და „მუზმუზელა“.

რეჟისორი **ვ. გუნია.**

გამოვიდა და იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში:

საქართველოს რუსეთთან შეერთება

(რუსულად)

მახ. ხელთუფლიშვილისა,

ფასი 40 კაპ.

ვინც ნაღდ ფულზე გამოიწერს არა ნაკლებ ათ ცალს, წიგნი დაუჯდება 30 კაპ. და ჩვენი ხარჯითაც გაეგზავნება—ადრესი. ქუთაისი, ალ. არაბიძე. (5—6.—4)

მკურნალი

მიხეილ გედევანიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის—12—1, საღამოთი 6—7 ყორღანოვის ქუჩა, №16, საკ. სახლი, ტელეფონი. 791.

ვეძებ ადგილს ნოქრისას, მოურავისას, ან სხვა რამ შესაფერ სამუშაოს. შემიძლიან სათავდებოთ მსურველთ წარუდგინო 100—600 მან. იკითხეთ: სამსონ წერეთლის მაღაზიაში, ველიამინოვის ქუჩაზე, ან ვერის დაღმართში, დავით ბაქრაძეს სადალაქოში. (1—1)

ექიმი

იაკობ ზაქარიას ძე

გძელიშვილი

იღებს ავადმყოფებს დილის 9—12 საათამდე და საღამოთი 5—7-მდე, შინაგანის და ათაშანგის ავადმყოფობით. აქვს შესახვევი მასალა. ავჭალის ქუჩა, № 85 (0—6)

ამ №-თან „ცნობის ფურცლის“ ხელისმომწერთ ეგზავნებათ **სურათებიან დამატების** მე-19 ნომერი.

დეპეშა

(«რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან»)

14 დეკემბერი

პეტერბურგი. 14 დეკემბერს დაიწყო პირველი კრება სასოფლო-სამეურნეო საქმეთა მოღვაწეთასა. კრებას სხდომები აქვს სასოფლო სამეურნეო მუზეუმის დარბაზში კრებას გახსნის დღეს დაესწრო ოთხმოცამდე სოფლის მეურნე.

ვარშავა. ვარშავის სამოსწავლო ოლქში აღძრულია კითხვა, რომ მომავალ წელს ვარშავაში დააარსონ კიდევ ერთი გიმნაზია უძველ ენებოთ, ან და გადააკეთონ რომელიმე პროგიმნაზია გიმნაზიად.

ხარკოვი. ქალაქის არჩევანები გათავდა. სულ ამორჩეულია 70 ხმოსანი. ხელ ახლა დაიწყო ხშირი ბურუსი; ზამთარი არ არის; დარები ცუდად მოქმედებენ ხალხის ჯანმრთელობაზე, მეტადრე ბავშვებისა. გზები გაფუჭებულია; სოფლებიდან ძალიან ცოტა სანოვაგე მოდის, ამიტომ შიშობენ, რომ დღესასწაულებისთვის სიძვირე ჩამოვარდება.

კიევი. კიევო-პოლტავის რკინის გზის მიღება დასრულდა. მდინარე პოელ და ვორსკლის ხიდებზე დაიწყო მოძრაობა. ბურუსია, წვრილი წვიმაა. დიდი ხანია ამისთანა ზამთარი არ ყოფილა.

ნიუ-იორკი. ბუენოს-აირესიდან მოსულის ცნობებით, არგენტინის რესპუბლიკის ელჩმა პორტელამ აღმოაჩინა, როგორც სანტიაგოდან იტყობინებიან, ჩილის რესპუბლიკის უცხო საქმეთა მინისტრს იანეცს ერთი სიტყვა შეუცვლია ოქმში. პორტელამ ხელი მოაწერა ოქმს სრულიად დარწმუნებულმა, რომ იგი ნამდვილი პირია ოქმისა, რომელიც ორივე მთავრობამ შეადგინა ეხლა პორტელა თხოულობს ამ სიტყვას შეცვლას და თან დასძენს, რომ უკეთუ ჩილი არ იზამს ამას, ის სანტიაგოდან წავა და ყველაფერს, რაც აქამდის მოხდა, უკანონოდ აღიარებს.

ლონდონი. 13 დეკემბერს კიტჩენერი იტყობინება იოჰანესბურგიდან: „გენერალი რენდლი გვაცნობებს, რომ დევეტმა, რომელიც უფროსობდა ბურების დიდ რაზმს, 11 დეკემბერს იერიშით აიღო ფირმანსის ბანაკი ტვიფონშტინთან. ვშიშობ, რომ დიდი ზარალი იქნება. ფირმანის რაზმი შესდგებოდა 400 მეომარისაგან მინდვრისა და მსწრაფლ სასროლის ზარბაზნებით. დევეტს დაედევნა ორი რაზმი მსუბუქი კავალერიისა.

მოსკოვი. 14 დეკემბერს, დილის 3 საათზე, ცეცხლი გაუჩნდა პეტერბურგის დამზღვევ საზოგადოების დიდს სახლს, თეატრის მოედანზე. ცეცხლის მესამე სართულში გაჩნდა, სადაც მოთავსებული იყო სასტუმრო „მეტროპოლი“. 60 ოთახის შეშინებული მდგმურები კარებს ეცნენ; ერთ ქალს, რომელსაც ის იყო ოპერაცია გაუკეთეს, სისხლი წასქდა; ეს ქალი საავადმყოფოში გაგზავნეს. ცეცხლი ერთი სართულიდან მეორე სართულებს მოედვა და ყველაფერი დაანაცრა. ყველა ცეცხლის მქრობელი რაზმები მოვიდნენ; შვიდი ორთქლის მაშინა მუშაობდა; ცეცხლის მქრობელები მეხუთე სართულზე აცოცდნენ, მაგრამ, რადგანაც აქაც მალე მიაღწია ცეცხლმა, 30 კაცი რის ვაი-ვაგლახით ჩამოცოცდნენ კედლებზედ, ზოგი გულ-შეწუხებული ზოგი უგრძნობლად მყოფი საავადმყოფოში გაგზავნეს; ორს ტვინი შეერყა, ერთს თვალები დაუსკდა, ბოლოს კიბეები მიაშველეს და თოკებით ჩამოუშვეს. შენობა იწვის. სახლი დაზღვეულია პეტერბურგის დამზღვევ საზოგადოებაში 3,100,000 მანეთად და გადაზღვევებულია საზღვარ-გარეთელ საზოგადოებებში. მოძრავი ქონება დაზღვეულია—200,000 მანეთად „ნადეჟდას“ საზოგადოებაში. პეტერბურგის საზოგადოებას ზარალის მეთერთმეტე ნაწილი შეხვდება.

მოსკოვი. 14 დეკემბერს საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარემ ნაიდენოვმა იდღესასწაულა ოც-და-ხუთი წელი ამ თანამდებობაში ყოფნისა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

სამხრეთ-აფრიკა. გაზ. «ნოვოსტი»-ს ამნაირი დეპეშა მოსვლია ლონდონიდან:

«კიტჩენერი აფრთხილებს ინგლისელებს: ტყუილი იმედი ნუ გაქვთ, ომი მალე არ გათავდება».

✿ ამსტერდამში უტყუარი ამბავი მიუღიათ, ამ დღეებში დევეტმა კლიმროვერს ახლო ძალზე დაამარცხა ინგლისელებით. ბრძოლის ამბავი ჯერ დაწვრილებით არ იციან.

✿ ინგლისური ჯინგოისტური გაზეთი «მორნინგ პოსტ»-ი თხოულობს: ბურების სარდალი კრიუცინგერი სამხედრო სამართალში მიეცესო. ახალგაზრდა სარდალი თავისუფალი (ორანჟის)

ფელეტონი

საკვირაო დღიური

გაზ. „ივერიამ“ 10 დეკემბერს, ბევრის თათბირისა და ბჭობის შემდეგ იმის შესახებ, რომ აუცილებელს საჭიროებას წარმოადგენს განახლებულის ფორმატის განახლებულმა რედაქციამ მკითხველთა წასახალისებლად და გულის მოსაფხანად რაიმე ახალი მიმართულება გაიკვლიოსო, შემდეგი დაადგინა: „ვინაიდან*) ყოველივე, რაიცა ცხოვრებასა შიგან ქართველთა ერისასა ჰხდება, ვითარცა წოდებისა რომლისამე კრება, საზოგადოებისა რომლისამე ყრილობა, მადნეულობისა რომლისამე აღმოჩინება, ავაზაკობისა რომლისამე ჩადენა, უბედურებისა რომლისამე შემთხვევა და სხვანი, დასაბამიდან სოფლისა დაწყებული უკუნისამდე აუცილებლად ბუნებისა წესისა გამო ჟამთა მიმდინარეობასა და ბრუნვასა შიგან ჰხდება, და ვინაიდან განძრახვითა ჩვენითა სასურველ არს მიმართულებისა ჩვენისა გაზეთისა შეცვლა,—უმეტესობითა ხმისა რჩევასა ზედა გაზეთისა თანამშრომლებისათა თავმჯდომარეობით დროებითის რედაქტორისა ალ. სარაჯიშვილისა დავადგინეთ, რამეთუ ამიერიდან უკუნისამდე ჟამთა მსვლელობისა ანგარიში და დროთა ბრუნვათა აღრიცხვა გაზეთსა ჩვენსა „ივერიასა“ შიგან უკულმა ითვლებოდეს და თანახმად ამა ჩვენისა დადგენილებისა გაზეთისა ჩვენის 11-ისა დეკემბრისა № ში მოვათავსოთ განცხადებანი ტფილისისა გუბერნიისა თავად-აზნაურთა საგანგებო კრების მოწვევისა შესახებ ამავე თვის დეკემბერის 8 რიცხვს, და განცხადებითა ამითა შეუდგეთ აღსრულებას ახლისა მიმართულებისა ჩვენისასა დროთა უკულმა ბრუნვისა შესახებ.“ როგორც „ივერიის“ მკითხველებმა იციან, ეს ახალის და ახირებულის მიმართულების საფუძველზე დამყარებული დადგენილება გაზეთმა მართლა განახორციელა. (იხ. № 268, განცხადება პირველს გვერდზე) ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ამ მიმართულების სრულად გამოსარკვევად ბ. ინ-ანი რამდენიმე მეთაურს დასწერს და ბ. Morosus სამეცნიერო წერილს.

—

მეოცე საუკუნის ნიჭიერი პიიტიკოსი და დრამატიკოსი, ბ. დუტუ მეგრელი, როგორც შევიტყეთ, აპირობს წერილობით მადლობა გამოუცხადოს ქართულ დრამატიულ საზოგადოების გამგეობის მეოთხმოცე წლების წევრებს იმის გამო, რომ მაშინდელი მათი უმოქმედობა და დაუდევრობა დღეს ბ. დუტუ მეგრელს თავის ნიჭიერების დამამტკიცებელ საბუთად გამოადგა. დრამატიულ საზოგადოების გამგეობამ იმის და მიუხედავად, რომ ქართულის თეატრის რეპერტუარი ფრიად ღარიბია და სუსტი, სცენაზე დუტუ მეგრელის დრამის „მწირი სარდალის“ თამაშობა შეუფერებლად და ხელოვნებისათვის საზიანოდ სცნო, რა თქმა უნდა იმიტომ, რომ თვით დრამას შემთხვევით*) ნიჭის ზედგავლენა არ ეტყობოდა, და ამით ცოტა არ იყოს შეურყია ბ-ნს დუტუ მეგრელს „ნიჭიანობის“ ფართოდ გავრცელებული სახელი. მოგეხსენებათ, რომ „ნიჭიანს“ კაცს სახსრის პოვნა არ გაუძნელდება და დუტუ მეგრელმაც დიდის ფიქრის შემდეგ იპოვა ნიჭის გადამარჩენელი გზა. გამგეობის წევრები, „როცა ახალი პიესა მიუვათ, იმასაც კი არ კითხულობენო“, ამბობს ჩვენი მედრამე იმ იმედით, რომ მკითხველი თვითონ დაასკვნის, ალბად „მწირი სარდალი“ ამ მიზეზით დარჩაო რეპერტუარს გარეშე. ეხლა, როგორც ვთქვით, დ. მეგრელი წერილობით გამოუცხადებს მადლობას დავიწყებულს მოღვაწეებს, თქვენმა უმოქმედობამ ყველა დაარწმუნა, რომ ჩემი დრამა მხოლოდ იმიტომ არ იქმნა შეტანილი რეპერტუარში, რომ იმისი წაკითხვა დაიზარესო. („ივერია“ № 271.).

—

„ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობას დაუდგენია საგანგებო კომისსია აირჩიოს, რომელსაც დაევალება განიხილოს ამ საზოგადოების საქმეების შესახებ ატეხილი დავა და აყალ-მაყალი, რათა ჩვენს გაზეთებს შეძლება მიეცეთ სხვა საგნებზედაც იქონიონ მსჯელობა და მთლად ამ პოლემიკას არ ანაცვალონ თავიანთის გაზეთების ფურცლები. ჩვენი რედაქციები სიხარულით ეგებებიან გამგეობის ამ დადგენილებას და ყოველს საპოლემიკო წერილს, რომელსაც რედაქციები მიიღებენ, ამ კომისსიას გადასცემენ წასაკითხავად.

—

სასოფლო სამეურნეო საზოგადოების რჩევა დიდად დაღონა ერთი ხელობა იმ ზარალმა, რომელიც მას წლევანდელმა ავდრიანმა გამოფენამ მიაყენა. ზარალი 24000 მანათამდეა. რამდენიმე დღის წინად რჩევას ერთი არხიკომერციული აზრი მოუვიდა ზარალის ასაყენებლად ღ დაადგინა: „პრემიების მიმღებთ დააკისროს ვითომ ღ პრემიების დასამზადებელი ხარჯი. ამ ბაჟს ადვილად მოჰკრეფენ და ზარალი 18,000 მანეთით შემცირდება. აშკარაა, რომ ტფილისს საკომერციო სასწავლებელი არ სჭირია; კომერცია ისეც ყველამ კარგად იცის, გარდა ქართულ დრამატიულ საზოგადოებისა. კარგს ინებებს სამეურნეო საზოგადოების რჩევა რამდენიმე ხნის შემდეგ კიდევ დაარიგოს პრემიები, რომ ბარემ მთლად აიყენოს ზარალი და ცოტა რამ სარგებლობაც ნახოს.

—

რაკი ერთხელ დაადგინა „ივერიამ“ დროთა მსვლელობის უკულმა ანგარიში, გაზეთის

---

*) აქედან დაწყებული, ვიდრე დადგენილების ტექსტი გათავდება, გალობით უნდა იკითხებოდეს.

*) შემთხვევით, თორემ დუტუ მეგრელი რომ ნიჭიერი მედრამეა—ეს ყველასათვის ცხადია.

რესპუბლიკის მოქალაქე და არა ინგლისის ქვეშევრდომი. ამიტომ კრიუცინგერს ისე ვერ მოექცევიან, როგორც შეამბოხეს, მაგრამ «მორნინგ პოსტა»-ის აზრით, დატყვევებული სარდალი ისე ცუდად იქცეოდა, რომ უსათუოდ სამხედრო სამართალს უნდა მიეცესო. აი რა დიდი ბრალი ედება კრიუცინგერს: როცა კიტჩენერმა წარსულ 15 სექტემბერს თავისი «გათქმული» პროკლამაცია გამოსცა, კრიუცინგერმა პასუხად შეატყობინა გენერალ ფრენჩს: ყველა ზანგებს, ვინც კი ინგლისის სამსახურში შევა, რაწამს ხელში ჩავიგდებ, თოფით დავხვრეტავო, რადგანაც ეს ზანგები ჩვენი რესპუბლიკების ქვეშევრდომები არიან და უფლება არა აქვთ, ბურებს ეომნენო. ბურების ახალგაზრდა სარდალმა შეასრულა კიდეც თავისი მუქარა. «მორნინგ პოსტა»-ს და საზოგადოთ ინგლისელ ჯინგოისტებს ეს საბუთი დაუხვევიათ ხელზე და თხოულობენ, რომ კრიუცინგერი თოფით დაიხვრიტოსო. ადრე თითონ კიტჩენერსაც ბძანება გაეცა: თუ კრიუცინგერი ხელში ჩაიგდოთ, მაშინვე თოფით დახვრიტეთო.

კრიუცინგერიც იმავე განსაცდელში ჩავარდა, როგორშიაც იმაზე წინ მეორე ჭაბუკი სარდალი შეფერსი ჩავარდა.

ინგლისი. ლოიდ ჯორჯი კეთილის განზრახვით მივიდა ბირმინჰამში, ეგები იქაური პატრიოტებიც ჭკვაზე მოვიყვანო და ზავზე დავიყოლიოო. ბირმინჰამელი პატრიოტები მგლებივით მიესივნენ და იმპერიალიზმის მტერს დეპუტატს კინაღამ ანდერძი არ აუგეს. როცა ჯორჯმა ლაპარაკი დაიწყო, პატრიოტებმა თურმე განგებ ამ დღისათვის გამოთქმული სიმღერა შემოსძახეს: «ლოიდ ჯორჯი ჩემბერლენის ჭაში უნდა ჩავაგდოთო». იქვე გამგეობის დარბაზთან ჭაა თურმე მოთხრილი და ჭის თავზე ჩემბერლენის ძეგლია დადგმული. ამიტომ ჭასაც ჩემბერლენის ჭას ეძახიან. აი ამ ჭაში ჩაგდებას ემუქრებოდნენ ლოიდ ჯორჯს. ჭაში კი ვერ ჩააგდეს, მაგრამ არც თუ ნაკლები დღე დააყენეს ჯორჯსა: რის ვაი-ვაგლახით გადარჩა თურმე გაათფთრებულს პატრიოტებს.

ამ საზიზღარმა ამბავმა ყველა გაზეთები აალაპარაკა. მთავრობის მომხრე გაზეთები ბირმინჰამელ პატრიოტებს ჰკიცხავენ, ძალმომრეობა რად იხმარესო, თანაც ამბობენ, პატრიოტების დასს ნება ჰქონდა ბურების მომხრეების კრება ჩაეშალათ, რადგანაც ბირმინჰამის წარმომადგენლად პარლამენტში თითონ ჩემბერლენიაო.

კიდევაც ბირმინჰამი ჩემბერლენისა და იმისი თავისიანების სათავნო ქალაქია. ჩემბერლენების გარდა სხვას როგორ შეუძლიან, რა ნება აქვს ამ ქალაქში კრება მოახდინოს და ილაპარაკოს.

ლიბერალური გაზეთები მკაცრად ჰგმობენ ბირმინჰამელ პატრიოტებს და ბეჯით პროტესტს უცხადებენ მთავრობას: ლაპარაკის თავისუფლებას ვერ იცავსო. ადგილობრივ იმპერიალისტურ გაზეთებსაც წაექეზებინათ ხალხი და ჯორჯისთვის მიესიათო. ეს სწორედ ზიზღის ღირსი საქციელიაო. ამას გარდა ჩემბერლენის მომხრეებს ისეთი საქმე ჩაედინათ, რომ ჩვენში ჯერ არც თქმულა, არც გაგონილა: ყალბი ბილეთები დაემზადებინათ და ისე შეეშვათ თავიანთი «მოკრივეები» დარბაზშიო.

თითონ ლოიდ ჯორჯი ამ უწესოებას სულ კოლონიების მინისტრს ჩემბერლენს აბრალებს. იმას რომ არ დაერიგებინა ხალხი, ასეთ საზიზღარ საქმეს ვერას დროს ვერ გაჰბედავდაო. ჯორჯს უთქვამს ერთი გაზეთის თანამშრომლისათვის:

«ჩემბერლენი ისეთი დუშმანი კაცია, რომ ყველაფერს კადრულობს, ყველაფერს ჰბედავს. ეს ამბავი კიდევ ერთხელ ცხადად ამტკიცებს, რომ ეს კაცი არაფერ ძალმომრეობას არ ერიდება. რა წამს საბუთები შემოაკლდება, მაშინვე ძალას მიჰმართავს ხოლმე. იმისთვის სულ ერთია, გინდ თვისი თანამემამულე ყოფილა, გინდ უცხოელი. მე, წმინდა ინგლისელ კაცს, ისე მომექცა, როგორც უცხო სახელმწიფოებისას მოექცევა ხოლმე. უცხო სახელმწიფოებთან ლაპარაკის დროს, როცა ლაპარაკით ვერას ჰხდება, რაწამს საბუთები შემოაკლდება, მაშინვე იმას მიაძახებს: «იცი, რა მძლავრი ფლოტი მაქვს!». მართალია ინგლისს მძლავრი ფლოტი აქვს, მართალია ჩემბერლენის მიმდევარ პატრიოტებს მძლავრი მუშტები აქვთ, მაგრამ, ჩემის აზრით, უმჯობესი იქნება, რომ ჩემბერლენს და მის მიმდევრებს უფრო მძლავრი გონება ჰქონდეთ და გამჭრიახი ჭკუა. თითონაც მოუხდებოდათ, რომ მუშტების მაგივრად ჭკუით მოქმედებდნენ».

ლოიდ ჯორჯის ფიქრი ნუ გაქვთ. მალე, იანვრის დამდეგს ინგლისის პარლამენტი შეიკრიბება და ჩემბერლენის ჯავრს ადვილად ამოიყრის. ამ საქმეზე უსათუოდ ლაპარაკი ჩამოვარდება პარლამენტში და ერთი ორი სიტყვის თქმას ჯორჯიც მოახერხებს.

შეერთებული შტატები. ინგლისის გაზ. «მონჩესტერ გარდიანს» სწერენ ნიუ-იორკიდან: ამ დღეებში პრეზიდენტმა რუზველტმა ორი ზანგი სახელმწიფო თანამდებობაზე გაამწესა. ერთი ელჩად დანიშნა ლიბერიაში (ზანგების რესპუბლიკაა დასავლეთ-აფრიკაში), მეორე კიდევ—არხივარიუსად ვაშინგტონში. ამ ამბავმა ხალხი ისე როდია აყაყანა, როგორც წინად მოხდა, როცა პრეზიდენტმა ზანგი ვაშინგტონ ბუკერი თავისთან სადილად მიიწვია. ხალხი ნელ-ნელა შეეჩვია რუზველტის ამნაირ ქცევას და ისე აღარ უკვირს, რომ პრეზიდენტი ზანგებსაც კაცად აგდებს.

ავსტრო-უნგრეთი. კერბერი დაემუქრა დეპუტატებს, თუ რიგზე არ მოიქცევით, პარლამენტს გავაუქმებთ, კონსტიტუციას მოვსპობთ და აბსოლუტიურ მმართველობას დავაწესებთო, ესე იგი ისეთ წესებს შემოვიღებთ, როგორც ოსმალეთში, სპარსეთში და კიდევ ერთ რაღაც სახელმწიფოშიაო. ეს სამი სახელმწიფო ნამდვილი სამება და ერთ-არსებაა, უხდებათ კიდეც თავიანთი წესები, მაგრამ რამდენად მოუხდებოდა ეს წესები ავსტრიას,—ეგ აღარ ვიცი. ეგ კი ვიცი, რომ დაუჩვეველს ნუ დააჩვევ, დაჩვეულსა ნუ მოაკლებო. ავსტრიის მცხოვრებლები ისე არიან შეჩვეულები კონსტიტუციის წესებს და მოქალაქობრივ ცხოვრებას, რომ, არა მგონია, კონსტიტუციის გაუქმებას ასე უამბოთ ჩაევლო ამ ქვეყანაში. ალბად, კერბერსაც ასე უფიქრია და პარლამენტის დასამშვიდებლად სულ სხვა ხერხი მოუფიქრებია. გაზეთები სწერენ: კერბერმა მოლაპარაკება გამართა ჩეხებთანაო. პირველ-მინისტრს სწადიან, რომ ჩეხიაში შინაგანი მმართველობა ჩეხურ ენაზე სწარმოებდესო. ამავე დროს კერბერი ურჩევს ჩეხებს, გერმანელებს დაუთმონ რამე და როგორმე მოურიგდნენო. თუ ამ მოლაპარაკებას კარგი შედეგი მოჰყვა, მაშინ ჩეხიის საქმეთა მინისტრად რეზეკის (ამას წინად გადადგა) მაგივრად მლადოჩეხების მეთაური ენგელი დაინიშნებაო.

პანგერმანისტებს მაინც ჭკუაში არ მოსდით რისამე დათმობა. ამათ მეთაურს შენერერს 4 დეკემბერს პარლამენტში უთქვამს: ჩვენ, პანგერმანისტებს არაფერი მოლაპარაკება არა გვწადიან, ავსტრიაში სახელმწიფო ენად გერმანული უნდა დარჩესო და რომელი გერმანელი დეპუტატიც ამის წინააღმდეგ მოიქცევა, ის ნამდვილ «მოღალატედ» ჩაითვლებაო.

გერმანია. ბერლინის სასამართლოს პროკურორმა განკარგულება მოახდინა და სოციალ-დემოკრატების განთქმული გაზეთის «ფორვერტსა»-ის საშობაო (გერმანიაში ეხლა ბედნიერი დღეებია) ნომერი დაატუსაღა. ამ ნომრისა 30,000 ცალი ყოფილა დაბეჭდილი—ნამდვილად მეტი იბეჭდება—როცა პოლიცია მოსულიყო სტამბაში და ხსენებული ნომერი დაეჭირა. ამ სოცარმა ამბავმა დიდი მითქმა-მოთქმა გამოიწვია მთელს გერმანიაში. ეტყობა, გერმანიის მთავრობა აღარა ხუმრობს.

საფრანგეთი. არც თუ საფრანგეთის მთავრობა იქცევა რბილად და თავაზიანად. ფრანგ. გაზეთები სწერენ: საერო განათლების მინისტრმა პროფესორ ლაპაკს ლექციების კითხვა აუკრძალა 6 თვის ვადით. ლაპაკი პროფესორ ერვეს გამოესარჩლა და მინისტრი ლეიგიც ამაზე გასწყრომია.

ახალი ამბავი

◆ დღეს, დილის 11 საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის სადგომში დანიშნულია ქართულ დრამატიულ საზოგადოების წევრთა საზოგადო კრება. ეს კრება მეორედ ინიშნება და კანონიერად ჩაითვლება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

◆ დღეს, შუადღის 12 საათზე, ტფილისის საბჭოს დარბაზში დანიშნულია საზოგადო კრება კავკასიის ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა. კრებამ უნდა განიხილოს და დაამტკიცოს განსაკუთრებულ კომისიის მიერ შედგენილი წესდება „კავკასიის ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საურთიერთო დახმარების საზოგადოებისა“.

◆ ტფილისის სამოსამართლო პალატის დასაბუთებული გადაწყვეტილება შესახებ ქალაქის გამგეობის ყოფილ წევრთა გამოცხადდება მომავალს იანვარში.

◆ დღეს, 16 დეკემბერს, ქართულ თეატრში წარმოადგენენ პირველად ამ სეზონში კ. მესხის მონაწილეობით არ. სუმბათაშვილის ცნობილს დრამას „ბორკილს“, რომლის შინაარსიც მართლა მწვავე კითხვას ეხება და საყურადღებოც არის.

◆ კავკავიდან გვწერენ, რომ 25 დეკემბერს გაიმართება კავკავის ქართულის სკოლის სასარგებლოდ, ამავე სკოლის დარბაზში, ქართული საღამო. ამ უკანასკნელ წლებში ქართული საღამოები იმართება ყოველთვის შობა დღეს და დიდს შემოსავალსაც იძლევა.

◆ ამავე კავკავის სკოლის სასარგებლოდ გაიმართება საღამო ქ. როსტოვშიაც 30 დეკემბერს. საღამოს მოთავეები როსტოვში არიან სტ. სიმ. ელიაძე, თ. მელიქოვი, ბ. ჯაფარიძე, ბ. თაყაიშვილი და სხვა იქაური ქართველები. კავკავიდან საღამოზე დასასწრებლად და მონაწილეობის მისაღებად მიდიან სკოლის გამგე და 25 კაცამდე მომღერალნი ბ. კუხიანიძის ლოტბარობით.

◆ საგეოგრაფიო საზოგადოების კავკასიის განყოფილების შუამდგომლობით საიმპერატორო აკადემიის მდივანმა გენ.-ლეიტ. დუბროვინმა გამოუგზავნა ხსენებულ განყოფილებას საქართველოს ბატონიშვილის ვახუშტის ხელნაწერის დედანი, რომელშიაც მოთავსებულია საქართველოს ისტორია და გეოგრაფია. განყოფილების მინდობილებით, ამ ხელნაწერს ახლა რუსულად სთარგმნის მ. ჯანაშვილი და საჭირო შენიშვნებით გამოცემული იქმნება, როგორც ამ განყოფილების ჟურნალის დამატება. აქამომდე ვახუშტის შრომა დაბეჭდილი იყო ფრანგულად ბროსეს მიერ. შედარებამ აღმოაჩინა, რომ ბროსსეს თარგმანში შეცდომებიც არის და ზოგი რამ გამოტოვებულიც სამწუხაროდ, ვახუშტის ხელნაწერს რამდენიმე ფურცელი აკლია („კავკაზ“).

◆ **ხარკოვიდან** გვწერენ, რომ ჩვეულებრივი „კავკასიური საღამო“ იქ წელსაც შეფერხდა: თუმცა ყოველისფერი მზად იყო, მაგრამ ადმინისტრაციის განკარგულებით საღამო გადიდვა. ქართველ სტუდენტებს ამის გამო ზარალი მოუვიდათ. თეატრის დარბაზი თავ. წერეთლისაგან იყო ნაქირავები და, თუმცა სტუდენტებისაგან დამოუკიდე-

---

თანამშრომლები დიდს მუყაითობას იჩენენ ამ დადგენილების აღსრულებაში და ერთგულად ამტკიცებენ უკულმა ანგარიშის გზას. პარასკევს, მაგ. შეგვატყობინეს ახალამბად, რომ თავადი ივანე კონსტანტინეს ძე მუხრანბატონი, რომელიც 1895 წელს გარდაიცვალა, 12 დეკემბერს ქუთაისში წავიდაო... რამდენი ახალი ამბავი დაიწერება და ფართო მასალა ექნება ივერიის ქრონიკიორს, თუ შემდეგშიაც უკულმა თვალა დრო.

—

ჩვენს წარსულის კვირის ფელეტონში მოთავსებული ცნობა იმის შესახებ, რომ პიიტიკოსი გობეჩია თავის გუნდით კონცერტს ჰმართავსო, როგორც თითონ ბ-ნი გობეჩია გვწერს, ტყუილი აღმოჩნდა. პიიტიკოსთა გუნდის ლოტბარს ეს განზრახვა არა ჰქონია. მაგრამ თითქოს ჭკვაში მოსვლია ჩვენმიერ გამოქვეყნებულის შემცდარ პროექტის აღსრულება და საჭიროდ დაუნახავს, წერილით შეგვატყობინებინა შემდეგი: «სიამოვნებით ვკისრულობ ორკესტრის შედგენას, რომელშიაც მონაწილეობას მიიღებენ კალიოპა და მელპომენაც, მხოლოდ ის ნაზის მსმენელობის პატრონნი, რომელთაც არა გაეგებათ რა ხელოვნებისა, სამწუხაროდ, ვერას გამოიტანენ ამ კონცერტიდან და სჯობს არც გვეწვიონ“. ვისურვებთ, რომ პიიტიკოსმა გობეჩიამ მალე დაატკბოს ჩვენი საზოგადოება თავის გუნდის ნიჭიერებით.

—

ჩვენის საზოგადოების საყვარელს ახალგაზრდა არტისტ ბ. შათირიშვილს განუზრახავს თურმე საოპერო დასი შეადგინოს და კვირაში ორჯელ ქართული ოპერები დადგას. რამდენადაც ვიცით, ჩვენი სცენის მოღვაწეთაგან რამდენიმე ხმა-წასული და სმენა მოკლებული არტისტი, სამწუხაროდ, სამუდამოდ დაანებებს თავს დრამატიულ მსახიობობას და მთელის თავისის ყურისა და ყელის ნიჭით ოპერის საქმეებს ემსახურება. კარგი იქნება, დრამატიულმა საზოგადოებამ თითონ ინებოს ამ საქმის მოთავეობა და ერთსულ და ერთხორც შეაერთოს ოპერა და დრამა.

—

ვიდრე კავკასიის ბრწყინვალებას და სიამაყეს თავად-აზნაურობის წოდება შეადგენდა, ჩვენს პატარა სამშობლოში მრავალი თავადობის და აზნაურობის მაძიებელი გაჩნდა. ეხლა, როდესაც წოდებრივმა უპირატესობამ საზოგადოებრივს ცხოვრებაში პირველი ადგილი მოწიწებით დაუთმო ოქროს, აზნაურობის მაძიებელთა მაგიერ გაჩნდნენ ოქროს მაძიებელნი. აზნაურობის მაძიებელთ ქუთაისში ჰქონდათ ბინა და მთავარი კანცელარია აზნაურობის სიგელების დასამზადებლად. ოქროს მაძიებელნი კი აღმოსავლეთ საქართველოში გადმოვიდნენ და რამდენიმე ადგილას გაიკეთეს სადგური ტფილისის, დუშეთის და თელავის მაზრებში. ვუსურვოთ, რომ საბრალმდებლო სკამზე არ მოუხდეთ დასკუპება ამ ახალის ტიპის მაძიებელთ...

—

მომავალს კვირას პირველი კრება მოხდება ახლად დაარსებულის „ქართველ მოღვაწეთა ურთიერთთ დამხმარებელ საზოგადოების“ წევრებისა. ამ საზოგადოებას აზრადა აქვს დახმარება აღმოუჩინოს ხოლმე საჭიროების დროს იმ პირთ, რომელნიც საზოგადოდ მოღვაწეობენ და კერძოდ კი არაფერს არ აკეთებენ. კვირის კრებაზე წაკითხულ იქმნება, სხვათა შორის, მოხსენება, რომელიც გამოარკვევს საზოგადო მოღვაწეობის საიდუმლო კავშირს უსაქმურობასთან; საგანი მოხსენებისა ფრიად საინტერესოა და საგულისხმო. ყველასათვის მძიმე ასახსნელი გამოცანა საზოგადო მოღვაწეობის უმოქმედობისა ეხლავე რომ გამოირკვეს—ძალიან კარგი იქნება, თორემ ისე აირ-დაირია მონასტერი, რომ ამ ჟამად საზოგადო მოღვაწეს და კარდაკარ მოსიარულე მაწანწალას ერთმანეთში ვეღარ არჩევენ.

—

ტფილისში განზრახულ საკომერციო სასწავლებელში, სხვათა შორის, ასწავლიან ყალბ კოტრობის მეცნიერებას. მოგეხსენებათ, რომ ყალბს კოტრობას ვაჭართა გამდიდრების ისტორიაში დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგანაც ის უცნაური ხერხია, რომელიც ვაჭარს ვალებისაგან ანთავისუფლებს.

—

გუშინდელი დღე ტფილისის ყასბებისათვის დაუვიწყარი დღეა. სამოსამართლო პალატის გამამართლებელისგანაჩენით წახალისებულმა აწინდელმა ქალაქის თავმა ქალაქის საქმეებისადმი ერთგულობის და თავდავიწყებულის სამსახურის დასამტკიცებლად გუშინ დილა ადრიან საყასბოები დაათვალიერა და, რაც კი დუქნებში სალი ხორცი იყო, სულ ერთიან გადააყრევინა, როგორ შეიძლება ასეთის ჯანმთელობისათვის მავნებელ ხორცით ვაჭრობაო. ყასბებმა ჯერ ყურები ჩამოყარეს და ცხვირები დაიგრძელეს ინდაურებივით მწუხარებისაგან, მაგრამ მალე მიჰხვდნენ, რომ ქალაქის თავს უკუღმა ესმის ხორცის ღირსება, და დიდს სიხარულს მიეცნენ: ამიერიდან საშუალება გვეძლევა დამპალი ხორცით ვივაჭროთ და ამასთანავე ფარულად კი არა, საჯაროდაო. ერთის დღის ზარალი ბევრს არაფერს შეადგენს და მომავალი მოგება კი დიდი იქნება; საჭიროა მხოლოდ, თანახმად ქალაქის თავის შეხედულებისა, სუფთა ტილოებით გადავაფაროთ მარმარილოს სტოლებზე დაწყობილს დამპალს ხორცსო. დიდის ხნის სურვილს ბაზარში დამპალის ხორცის გასაღებისას, რომელსაც ათასი დამაბრკოლებელი მიზეზი ელობებოდა გზაზე, დღეიდან ყასბები სულ ადვილად შეასრულებენ.

მოდი და ნუ იტყვი, რომ ერთგულობას უგულობა სჯობიაო!

მგზავრი.

ბელ მიზეზისა გამო არ შესდგა საღამო, ის მაინც თხოულობს სტუდენტებისაგან დაპირებულ ქირას.

✦ ტფილისის სათავად-აზნაურო ბანკის ზედამხედველმა კომიტეტმა შეატყობინა ამ დღეებში კავკასიის სამეურნეო საზოგადოებას, რომ ბანკის წარმომადგენლებად სამეურნეო საზოგადოების **სასტატისტიკო ბიუროში** ბანკის გამგეობისა და ზედამხედველ კომიტეტის შეერთებულ სხდომის გარდაწყვეტილებით დაინიშნენ კომიტეტის წევრი მიხ. ნიკ. ვეზირიშვილი და გამგეობის წევრი ანტ. ნიკ. ფურცელაძე.

✦ 19 დეკემბერს ტფილისის ქალაქის გამგეობაში მოხდება **შეერთებული სხდომა** ქალაქის გამგეობისა და ქალაქის სასწავლებელთა გამგე კომისიისა, რომელზედაც უნდა განიხილონ წინადადება კავკასიის სამოსწავლო ოლქის **მზრუნველის**, ბ-ნ ზა[illegible]სკისა, ტფილისის სახელოსნო სასწავლებლის არა სასურველ მდგომარეობის შესახებ.

✦ როგორც გუშინდელს ნომერში გვქონდა აღნიშნული, 14 დეკემბერს ტფილისის გუბერნატორისა და სხვათა დასწრებით აკურთხეს სოფ. მარტყოფში ამ სოფლის მცხოვრებთა **ხარჯით** ახლად დაარსებული **სასოფლო** სამკურნალო ქსენონი, რომელიც **წლიურად** საზოგადოებას 2300 მან. **დაუჯდება**. კურთხევაზე, როგორც გადმოგვცეს, დასწრებიან **სართი ჭალის კოლონიის მცხოვრებნიც**, რომელთაც განუცხადებიათ სურვილი ახლო მომავალში, მათაც მოილაპარაკონ და თავის **ხარჯით** დააარსონ ასეთივე ქსენონი.

✦ რამდენად საჭიროა სოფლის მცხოვრებლებისათვის **სამკურნალო**, ეს იქიდანაც სჩანს, რომ მარტყოფის ახლად დაარსებულ ქსენონში ყოველ დღე 50 ავადმყოფი მიდის და მუქთად წამლებითა და ექიმის დახმარებით სარგებლობს.

✦ ტფილისის ქალაქის საავადმყოფოში ამ თვის სამიდან ათამდე მიღებულ იყვნენ ავადმყოფნი: 11 ქუნთრუშით, ხუთი ხუნაგით, მათ შორის ორი ხუნაგით ავადმყოფი გარდაიცვალა; საავადმყოფოში 16 თავისუფალი ადგილი.

✦ ამ თვის პირველიდან რვამდე სოფელ ალავერდში (ბორჩალოს მაზრა) ქუნთრუშით გამხდარა ავად 14, მათ შორის მორჩენილა 5, გარდაცვლილა ერთი; სოფელ შამლუხში გამხდარა ავად ქუნთრუშით 7, მათ შორის ერთი მორჩენილა, 2 გარდაცვლილა; ამავე სოფელში მუცელათი გამხდარა ავად ორი და ორივე მორჩენილა.

✦ რადგან **3 იანვრიდან** მოსკოვში იწყება რუსთა ექიმების მერვე კრება, ამიტომ **ქალაქის** სასანიტარო-საექიმო საბჭომ მიჰმართა ქალაქის გამგეობას, რომ **გაგზავნოს** მოსკოვში კრებებზე დასასწრებლად ქალაქის ექიმთა საბჭოს წარმომადგენელი, რადგანაც ამ კრებებზე, გარდა სხვა სამეცნიერო კითხვებისა, ის კითხვაც იქნება აღძრული, თუ როგორ უნდა მოეწყოს ქალაქებში სასანიტარო საექიმო საქმე.

✦ ბეჭდვითი საქმის მოღვაწეთა საზოგადოების თავმჯდომარემ მიმართა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომ მას გაუგზავნონ მუზეუმისთვის კატალოგები, ბროშურები და სხვა საინტერესო რეკლამები, რომლებიც საზოგადოდ ახასიათებენ კავკასიაში **ბეჭდვითი საქმის** მდგომარეობას.

✦ გამოფენაზე დარჩენილი შენობები ბევრი კარგ ფასად გაიყიდა. 14 დეკემბერს მომხდარ საჯარო ვაჭრობაზე. მხოლოდ თეატრის შენობის ყიდვაზე ლოთობის წინაამდეგმა საზოგადოებამ უარი განაცხადა, რადგანაც იმას ძალიან ძვირად აფასებენ (3700 მან.) და საზოგადოებას იმდენი შეძლება არა აქვს.

✦ დაღესტნის ოლქის უფროსმა აცნობა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას, რომ ყველა წარმოდგენილი ექსპონატები, საოჯახო განყოფილების გარდა, **ეთმობა საზოგადოებას**.

✦ ბ. **ჯანფოლადოვმა** შესწირა სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებას თავისგან წარმოდგენილი **მარილის ნიმუშები**, რომელიც იმის მამულში აღმოჩნდა.

✦ **21 დეკემბერს თავდება უკანასკნელი** ვადა, რომ გამოფენაზე წარმოდგენილი ექსპონატები წაიღონ საწყობიდან პატრონებმა. უკე თუ 21 დეკემბრამდის არ გაზიდავენ, ამის შემდეგ ექსპონატები დარჩება საკუთრებად სამეურნეო საზოგადოებას.

✦ მხატვარმა ო. ივ. შმერლინგმა მიჰმართა კავკასიის სამეურნეო **საზოგადოების** საბჭოს განცხადებით, რომელშიაც ამბობს, რომ მისის სამხატვრო სკოლის ნაწარმოებნი სურათები, რიცხვით 57 ნომერი, გამოფენილი იყო აწ დასრულებულ გამოფენაზე, მაგრამ საექსპერტო კომისიას კი არ განუხილავსო. ბ. შმერლინგი სთხოვს საბჭოს—გაარჩევინოს მისი ექსპონატები საექსპერტო კომისიას და თვისი აზრი გამოათქმევინოს.

✦ სახელმწიფო თეატრის **საქმეები** ამ სეზონში ვერ მიდის კარგად. დაახლოვებით გამოანგარიშებით **ზარალი 20,000 მან. აქვთ**, როგორც ამბობენ, მაგრამ დანამდვილებით კი არ იციან.

✦ კავკასიის რკინის გზაზე გამოცხადდა სია მოსამსახურეთა, რომელთა **ჯილდოებიც** გაანთავისუფლეს 10o/o გარდასახადისაგან საინვალიდო თანხისთვის. ეს მოსამსახურები არიან: მეეზოვები და მეკარეები, კურიერები, [illegible], ავადმყოფების მეთვალყურე დედა-კაცები და საავადმყოფოს მოსამსახურეები; დარაჯები, გზის გადასასვლელების დარაჯი დედა-კაცები, მელამფეები, ცეცხლის ამნთებნი, ამწონავები, ბარგის მზიდველები და სხვ.

✦ მატარებლები რომ ერთმანეთს არ **დაეჯახნენ**, ამისთვის **სადგურ** ბალაჯარის **ტფილისის** მხრივ და **სად.** აჯიქაბულზე სად. ნაგორნის მხრივ არსდება, გარდა არსებულის სემაფორებისა, კიდევ **გასასვლელი სემაფორები**, რომლებიც მექანიკურად იქმნებიან შეერთებულნი შემოსასვლელ სემაფორებთან ერთისა და იმავე მხარეს

✦ გზათა მინისტრის ბრძანებით, **მადლობა გამოეცხადა** რკინის გზის პირველი ნაწილის უფროსს ინჟინერს რუსიანს იმის გამო, რომ 18 სექტემბერს ამა წლისა ნიაღვრებისაგან წამხდარი ადგილები **31** და 41 ვერსზე ბათუმის ნაწილისა მალე და **სრულის** ცოდნით გააკეთა

✦ ლანჩხუთიდან გვწერენ: „ადგილობრივ ბოქაულის თანაშემწის ბ. შმიტინის 14 წლის ვაჟმა თოფით **მოჰკლა** 12 წლის რაჟდენ ცინცაძის ვაჟი. თოფი საფანტით ყოფილა გატენილი; როგორც ამბობენ, ჭაბუკი შმიტინი ჩიტს დასდევდა და უცაბედათ კი კაცი შემსხვერპლაო“.

✦ **დაბახანის ხიდი**, რომელიც კოჯრის აღმართთან გადის და რომელსაც აშენებს ტეხნიკოსი სოფრონსკი სახელმწიფო ხარჯზე, გაიხსნება დაახლოვებით 20 დეკემბრის შემდეგ.

✦ ამ წლის სექტემბერში, ერთს **დღეს**, **ტფილისის** მცხოვრებს, (16 წლისას) **მარკოზ ოქროპირის** ძე **რობაძეს**, **რიყის ქუჩაზე**, სახედრით **მიჰქონდა** ნაგავი **გადასაყრელად**; **ურემი დახურული** არ **ყოფილა** **წესისამებრ**. ეს **შეუნიშნავს** უბნის ზედამხედველ **პოლიციის მოხელეს** სტეფანე სტეფანეს ძეს **სპირიდონოვს** და **მოუთხოვნია** ბავშვისათვის **უკან დაბრუნებულიყო**; **რობაძეს** ამაზე **უარი უთქვამს**: **ურმიდან ნაგავი არ იბნევა და რატომ არ მაძლევთ ნებას წავიდე გადასაყრელადაო**; ამაზე **მოსვლიათ ლაპარაკი და პოლიციელი სპირიდონოვი გაბრაზებულა, უძვრია ხმალი და რობაძე დაუჭრია ხელში; დაჭრილი მაშინვე მიხეილის სამკურნალოში გაუგზავნიათ, სადაც ის 2 კვირას წოლილა. სპირიდონოვს გაცხარებით სახედარზედაც გულის ჯავრი ამოუყრია და ისიც დაუჭრია. პოლიციმეისტრის ბრძანებით სპირიდონოვი სამსახურიდან დაუთხოვნიათ.**

ეს საქმე განიხილა ტფილისის ოლქის სასამართლომ 14 დეკემბერს; საქმის გარჩევის დროს ჰკითხა 11 მოწმეს, რომელთაგან უმეტესობამ შეამოწმა საქმის სინამდვილე. ბრალმდებლის ამხანაგმა ითხოვა სასტიკად დაესაჯათ სპირიდონოვი, რადგანაც იგი, როგორც პოლიციის მოხელე, ვალდებულია წესიერების დაცვისა და ლმობიერებისა და მან კი ხმალი ამოიღო და უპატრონო უღონო ბავშვი სულ უმნიშვნელო საქმისათვის დასჭრა. სასამართლომ სპირიდონოვს სამის კვირით პოლიციასთან დაპატიმრება მიუსაჯა ასეთის დანაშაულობის ჩადენისათვის.

✦ 14 დეკემბერს ტფილისის ოლქის სასამართლომ ზოგიერთის ქურდების მეტად დამახასიათებელი საქმე განიხილა. ტფილისის მოქალაქე ალექსანდრე ა. ფილიპიევი სამსახურის გარეშე შტაბს კაპიტნის ტანისამოსში ორდენითა და ხმლით გამოწყობილი, მისულა ტფილისის მცხოვრებ მელენტიევის სახლში და მოუპარავს ორი საბანი და რაღაც საცვლები სულ 40 მან, ღირებულობისა ეს ამბავი მალე შეუტყვია პოლიციის მოხელეს მიხეილ პეპეტას, რომელიც „შტაბს-კაპიტანს“ ქურდს წამოსწევია თამამშევის ქარვასლასთან და პოლიციაში წაუყვანია. ამ ნაირად ქურდობის ჩადენისათვის სამის წლით წინად ყოფილა პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნით დასჯილი. ამ დღესაც ოლქის სასამართლომ დამნაშავედ იცნო იგი და გარდაუწყვეტია კიდევ პატიმართა გამასწორებელ რაზმში ერთის წლის ვადით გაგზავნა.

✦ ტფილისში ამ ბოლოს დროს აგურის ფასმა ძრიელ აიწია. საწყალ ხალხს თავიანთ ქოხმახების კეთების დროს ეს გარემოება ძრიელ უფერხებს საქმეს. ათასი 18 მ. ფასობს და ხან მეტადაც, როცა 10 მ. ზევით არ უნდა ადიოდეს.

ქუთაისის ახალი ამბები

∽ **მიწად-მოქმედების სამინისტროს რწმუნებულმა კავკასიაში, ბ. მედვედიევმა, წინადადება მისცა ქუთაისის გუბერნიის აგრონომს მომავალ წლის გაზაფხულიდან შეღავათიანის ფასით აძლიოს მემამულეთ ქუთაისის საცდელ მინდვრიდან ხეხილისა და უცხო ქვეყნების ხეების ნერგები.**

∽ **ტფილისის ბოტანიკურ ბაღის მმართველს ქუთაისის გუბერნიიდან ბევრი თხოვნა გაუგზავნეს, რომ მიაწოდონ ახალის მცენარის** «тиковое дерево»-**ს თესლი. რადგან ეს მცენარე ძვირფასია და გასავალიც კარგი აქვს (იხმარება სამხედრო გემების გასაკეთებლად), არ იქნება ურიგო სამეურნეო საზოგადოების ქუთაისის განყოფილებამ თვით გამოიწეროს მისი თესლი მიწად-მოქმედების სამინისტროსაგან და ხელი შეუწყოს მის გავრცელებას.**

∽ **ქუთაის საბჭომ ბავშვების სამზრუნველო საზოგადოებას დაუნიშნა ყოველ წლივ ორას-ორასი მანეთი. წინად ქალაქმა დაუთმო საზოგადოებას რამოდენიმე დესეტინა მიწა ქალაქის ცოტა მოშორებით, მაგრამ უფულობისა გამო ამ ადგილით საზოგადოებას ჯერ არ უსარგებლნია. მთელი ზაფხული საზოგადოება იძულებული იყო გაემართა (ხუთშაბათობით) ბავშვებისათვის გასართობი თამაშობა ქალაქის ბაღში (ბულვარში), სადაც ამ დროს საზოგადოთ აურებელი ხალხი დასეირნობს და ბაღში ბურუსივით სდგას მტვერი. ჩვენ ბევრჯელ დავსწრებივართ ხსენებულ ბავშვების თამაშობას და სწორედ უნდა ვსთქვათ, ამნაირი გასართობების გამართვით ვერ აღწევს ბავშვების სამზრუნველო საზოგადოება მის მიზანს. სასურველია მომავალში ეს საქმე მოეწყოს საქველმოქმედო საზოგადოების მიერ შეძენილ ბაღში, რომელიც იმყოფება ქალების უფასო სასწავლებლის გვერდით, და შეიცავს რამოდენიმე ქცევა მიწას. ძლიერ კარგი იქნება აგრეთვე თუ საზოგადოების გამგენი მოახერხებენ ამ უქმეებში ღარიბ ბავშვებისათვის შობის ხის გამართვას. რამდენადაც ჩვენ ვიცით, ტფილისში ყოველ წელს იმართება ადგილობრივ მასწავლებელ ქალთა საზოგადოების მიერ ამგვარი შობის-ხე, რომელსაც დღე-სასწაულებში მოჰყავს ღარიბი ბავშვები. დარწმუნებული ვართ, ამ კეთილ-საქმეში ქუთათურები დახმარებას გაუწევენ ინიციატორებს ფულით ან სხვა რამე საშუალებით (ტანისამოსით, საბავშვო წიგნებით, სანოვაგით და სხვა შობის ხისათვის საჭირო ნივთებით). საქმე იმ რიგად უნდა მოწესრიგდეს, რომ ღარიბ ბავშვების დღესასწაულზე მართლა ღარიბები დაესწრონ. ამისათვის საჭიროა ადრევე ქალაქის უბნებად დაყოფა, ღარიბ მცხოვრებლების დათვალიერება და ბილეთების დარიგება, რომ დღესასწაულზე დასწრება ბილეთებით იქნეს.**

ტფილისის სამოსამართლო პალატა

გამგეობის წევრთა გასამართლება.

9 და 10 დეკემბრის სხდომა

ექიმმა **ანანოვმა** განაცხადა, რომ მე 1882 წლიდან ვარ ხმოსნად, მაგრამ ისეთი აღტაცებული მუშაობა ხმოსნებში მე არასოდეს არ მახსოვს, როგორც 1897 1898 წლებში, იმის წყალობით და ამას ამ დროის გამგეობის ენერგიული მოღვაწეობა იწვევდაო. როცა გამგეობის წევრთა ადგილი გაიხსნა, ჩვენ ბევრი ვიფიქრეთ ვინ ამოვარჩიოთ ამ ადგილზე და, როცა კარგად გავცხრილეთ ყველა კანდიდატები, სწორედ იმათზე დავდექით, რომელნიც დღეს დამნაშავეთა სკამზე სხედან აქ. როცა უკანასკნელად გამგეობის წევრს ვირჩევდით, თავ. არღუთინსკი ხელ-ახლად ავირჩიეთ 35 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ ერთისა, მაგრამ უცბად გარემოება გამოიცვალა, მთავრობამ ის არ დაამტკიცა და ჩვენგნით ერთხმად არჩეულმა სამსახურს თავი დაანება.

ზემო აღნიშნულ მეოთხე ჯგუფის მოწმეთა ჩვენება ისევ სავაჭრო-სამეურნეო პოლიციის წეს-რიგის გამორკვევას შეეხებოდა: ისევ ბაზარი, სასწორი, ხიდი და აქ დანიშნული ბაჟების აკრებას, ფულის კონტროლს და ქალაქის კასსაში იმის ჩაბარებას შეეხებოდა. ესენიც იმას ამტკიცებდნენ, რაც წინანდელ მოწმეთაგანმა ბევრმა დაამოწმა.

ერთი მოწამის ჩვენებაც გვინდა აღვნიშნოთ. ეს იყო ბ-ნი **ბაკოვი**, რომელიც 1897 და **1898** წლებში ტფილისის გუბერნატორად იყო. მოწამემ აუხსნა პალატას, რომ ქალაქს უნდოდა უსახელო საზოგადობისაგან ტრამვაი გამოეყიდა და თვითონ ეწარმოებინა, მაგრამ ამისათვის ფული არ ჰქონდა. ფული უნდოდათ სესხით ეშოვნათ და ამის შესახებ მე წარმომიდგინეს თავის მოხსენება. აქ გარკვევით იყო გამოცხადებული ქალაქის ნივთიერი მდგომარეობა—ვალებიც და შემოსავალიც. ჩემს კანცელარიაში ეს ცნობები შეამოწმეს და მე მომიტანეს. მეც ბეჯითად გავარჩიე და დავრწმუნდი, რომ გამგეობის მიერ წარმოდგენილი ცნობები ნამდვილი იყო და არ შემეძლო არ დამემტკიცებინა. ქალაქის ვალები მე ვიცოდი, მაგრამ მე ისიც ვიცოდი ხაზინას რამდენი ემართა ქალაქისა, ამიტომაც შეცდომად არ ჩამითვლია ქალაქისათვის თვისი ვალი ხაზინისადმი წარმოდგენილს ცნობებში რომ არ შეიტანა, ასე რომ არც იმ დროს და არც შემდეგ იმ ცნობების სინამდვილეში, მოგახსენებთ, ეჭვი არ შემიტანია და ეხლაც ამაშივე ვარ დარწმუნებული.—აქ მჯდომარე ბრალმდებულთ მე კარგად ვიცნობდი კერძოთაც და როგორც გუბერნატორი. დიდი მშრომელნი იყვნენ და პატიოსანი მუშაკნი. გამგეობის წევრთ განუზომელი შრომა აქვეთ და, სიმართლე მოითხოვს ვსთქვათ, რომ ამას ესენი ღირსეულად და სახელოვანად ასრულებდნენ. სახელმწიფო დაწესებულებათა მოხელე ყოველთვის მოელის ქებას და დაწინაურებას თავის უფროსისაგან, ესენი კი, პირ-იქით, ყველასაგან თვალში ამოღებულნი იყვნენ და ყველანი ამათ ეჯავრებოდნენ. იმ ორი წლის მოღვაწეობა გამგეობისა მეტად ნაყოფიერი იყო. ამ დროს იყო დაარსებული ქალაქისათვის მეტად საჭირო დაწესებულებანი—გაუმჯობესებულ იქმნა მილით წყლის მოზიდვა, სანიტარული მდგომარეობა ქალაქისა, დაარსებულ იქმნა სულით-ავადმყოფთათვის საავადმყოფო, კუკიაში კიდევ საავადმყოფო და ბევრი სხვა. ხშირად შემხვედრია ამ კაცებთან მუშაობა ქალაქის საჭიროებაზე, ხშირად მე თვითონ მივიდოდი ხოლმე იმათთან და ერთად ვსჯიდით ქალაქის ჩაქმეებს, ხშირად ჩემთანაც მოვიწვევდი გამგეობის წევრთ, თუ ცალკ-ცალკე, თუ ერთად—და ვამოწმებდი იმათ კეთილსვინიდისიერ მოღვაწეობას, საქმიანობას და ქალაქის ინტერესებისადმი მათ ერთგულებას. მე ხშირად ვატყობინებდი პირადის მოლაპარაკებით საქმის გარჩევას და არა მიწერ-მოწერით, რომელიც საქმეს უფრო ამძიმებს, დროს ბევრს ართმევს კაცსა და ვითარებას კი ვერ ირკვევს. ამ ნაირად გავიცანი მე ახალგაზდა წევრნი მაშინდელის გამგეობისა. ბ-ნთ აპ. ათ. ივანენკოსა და გ. გ. ევანგულოვს კი ხომ უიმისოდაც დიდი ხანია კარგად ვიცნობ. ამიტომ გულ-ახდილათ მოგახსენებთ, რომ ყველა ამათ მე კარგ მუშაკებად ვიცნობ და ღრმა პატივისცემით ვეპყრობი მათ.

ღამის რვა საათზე გათავდა ყველა მოწმეების გამოკითხვა. მეორე დღეს, 11 დეკემბერს, კამათი დაიწყო ამ საქმის გამო. პირველი სიტყვა პროკურორისა იყო, მაგრამ ამაზე შემდეგ.

11 დეკემბერი

დილის ცხრა საათზე დაიწყო პალატამ ზოგი საბუთების წაკითხვა. სწორედ 10 საა-

თზე **პროკურორის ამხანაგმა ლემერმანმა** დაიწყო თავის გამამტყუნებელი სიტყვა: «ეს საქმე ისეთის თვისებისაა და ისეთი საფუძველი უძევს მას, რომ მე არ შევეხები ამის დაწვრილებით გარჩევას. პალატამ საკმაოდ გაიცნო ეს საქმე—ერთის მხრით იმით, რომ თვითონ ორჯელ გადასინჯა იგი თავის კერძო სხდომებზე და მეორეს მხრით—პალატა ხუთის დღის განმავლობაში დიდის დაკვირვებით ისმენდა სასამართლოს გამოძიებას. ამ გამოძიებამ, მთელი წყობა მოწმეების ჩვენებამ და იმ აუარებელ საბუთებმა, რომელიც დამნაშავეთ თქვენ წარმოგიდგინეს აქ, ცოტა არ იყოს, ფერი უცვალა საქმის მდგომარეობას და ვინც ქალაქის ქონებრივი და ნივთიერი მდგომარეობა დინამდვილებით არ იცის, უთუოდ წამოიძახებს: მოითმინეთ, ბატონებო, ნუ თუ მართლა ამისთანა მოღვაწენი სამართალს უნდა მისცეთ? ასეთი იჭვიანობა მხოლოდ იმიტომ დაებადება საქმის გარეგნობით მცოდნეს, რომ იმ საბუთებმა, რომელიც თქვენ წარმოგიდგინეს, და მოწმეთა მთელი გროვის ჩვენებამ გარსი გადააფარეს საქმეს და სინამდვილე დაჰფარეს.

მოწმეთა ჩვენება ბრალდებულთა გამართლებისაკენ მიმართული საუცხოო დივერტისმენტი იყო. მოწმეები ისე აჩვენებდნენ, რომ არც კი ელოდნენ ჩვენგან კითხვას, პირდაპირ ამბობდნენ, რაც დამზადებული ჰქონდათ. ამათი ნათქვამი ბრალდებულთა დაცვის სიტყვები იყო, რომლითაც ისინი ამტკიცებდნენ ბრალდებულთა დაუღალავ შრომას. თუმცა ასეა, მაგრამ მე მაინც ვეცდები წინააღმდეგი დავამტკიცო. ბრალმდებელი იმას არ ამტკიცებს, რომ გამგეობის წევრო არ უმუშავნიათ, მაგრამ ეს არ კმარა,—ისინი მოვალენი არიან „საქალაქო დებულებით“ იხელმძღვანელონ და არა თავის საკუთარის შეხედულებით. ერთს აკეთებდნენ და მეორეს ივიწყებდნენ. ბრალმდებელი, პირ-იქით, იქნება კიდევაც იმ აზრისა იყოს, რომ ესენი დიდათ საპატიო მოღვაწენი არიან, მაგრამ ისეთები, რომელთაც ისე გონიერად ვერ მოახერხეს თავის დრო ისე გაენაწილებინათ, რომ ამითი ცუდი რამ არ წარმომდგარიყო და ქალაქის მცხოვრებთა საჭიროებას და ქალაქის კასას ზარალი არ მისცემოდა. ზოგიერთი მოწმები აქ ამბობდნენ, რომ 1897 და 1898 წლები ქალაქის თვით-მმართველობის „ოქროს ხანას“ შეადგენდაო, ზოგიც იმას ამტკიცებდა, რომ ამ წლებში საბჭოს მოქმედებას «მეტი აღფრთოვანება ეტყობოდა“, რადგან ამ დროის გამგეობის წევრნი იწვევდნენ ამას თავიანთვის გატაცებულ მოღვაწეობითაო. ცხადია, ამის მთქმელთ წინა წლების მოღვაწენი დაუვიწყნიათ, ესეც რომ არ იყოს, 1897 და 1898 წლებში მხოლოდ ორი კაცი შევიდა ახლად გამგეობაში—თავ. არღუთინსკი-დოლგ. და ვერმიშევი; ქალაქის მოურავი ევანგულოვი რომ არ ვიანგარიშოთ, დანარჩენები ხომ ძველები არიან, დიდი ხნის მუშაკნი. აქ ამტკიცებდნენ, რომ გამგეობის წევრთ დრო არ ჰქონდათ სხვა რამ გაეკეთებინათ, რადგან სავსე მოხსენებებს ამზადებდნენ საბჭოსათვისო. შესაძლებელია, ეს მოხსენებები ბრწყინვალედ შედგენილი იყო, ვინ ამბობს, მაგრამ გამგეობის წევრთ არ უნდა დაივიწყონ, რომ ისინი მთავრობის მოხელენი არ არიან, რომელთაც შეუძლიათ თავი იმართლონ—ჩემთვის დანიშნული დრო ხომ ვიჯექი ჩემ ადგილას, კმარაო,—და სამუშაო სხვა დროისათვის გადასდონ? არა, ისინი მოვალენი არიან ქალაქის საჭიროების დაკმაყოფილებისათვის მუდამ დარაჯად იდგნენ, ამისარვის ირჩევს იმათ საზოგადოება და ამათაც უნდა ისე გაანაწილონ თავიანთი დრო, რომ ქალაქმა ამით არავითარი ზარალი არ ნახოს. რამდენად გამგეობის წევრთ გაამართლეს ქალაქის იმედები და თავისს მოვალეობის ასრულებას მტკიცედ შეუდგნენ, ყოველივე ეს ცხადად შეუძლია პალატამ დაინახოს გამამტყუნებელ ოქმში, სადაც ბევრი საბუთია მოყვანილი იმისა, რომ მოსამართლეთ ცხადად დაინახონ დანაშაული ბრალდებულთა“.

ამის შემდეგ პროკურორის ამხანაგმა განმარტა კანონის აზრი, რა მოვალეობა აქვს საბჭოს და რის ამსრულებელი უნდა იყოს გამგეობა. „გამგეობაა ერთად-ერთი მმართველი ქალაქის ქონებისა, სხვა ისეთი არავინ არ არის, რომელიც მოვალე იყოს ის იფიქროს, ქალაქს კაპეიკი შესძინოს. „საქალაქო დებულების“ მე-95 მუხლის ძალით ქალაქის კაპეიკის პატრონი გამგეობაა და სხვა არავინ არ არის ისეთი, რომელიც ამის შენახვაზედ და ზომიერად ხარჯვაზედ ჰფიქრობდეს და ზრუნავდეს. ამათი მოვალეობაა ქალაქის ქონება არავინ მიითვისოს, არავინ დაიტაცოს. თქვენ აქ წარმოგიდგინეს რამდენიმე მოხსენება, რომელიც თავ. არღ.-დოლგ. შეუდგენია, მაგრამ ამ საჭიროებას დაკმაყოფილება საბჭოს „საქალაქო დებ“. მე-103 მუხლის ძალით შეუძლია სხვა-და-სხვა კომისიებს მიანდოს, გამგეობის წევრნი კი უპირველესად იმის მოვალენი და პასუხის მგებელნი არიან, რა ხდება გამგეობაში, თუ ქალაქის მართვა-გამგეობის საქმეებში. მე-98 მუხლის ძალით გამგეობის წევრნი მოვალენი არიან, გაანაწილონ ერთმანერთში ქალაქის საქმეების მართვა-გაძღოლა, ტფილისის გამგეობაშიაც ასე იყო, თუმცა ეს დადგენილება, როგორც კანონი ითხოვს, საბჭოსათვის დასამტკიცებლად არ წარუდგენიათ, მაგრამ დღეს მაინც ძალაშია. გამამტყუნებელი პირველი მუხლიც არის, რაშიაც მთელ გამგეობას ჰქონია ბრალი. შე'ძლებელია საწინააღმდეგო ისიც მითხრან, რომ მთელი კოლეგია არ არის პასუხის მგებელი, როცა ბრალი კერძოთ წევრს გამგეობისა მიუძღვისო, მაგრამ ეს მხოლოდ მაშინ ითქმის, როცა დანაშაულიც კერძოდ ცალკე წევრს ჩაუდენია, ხოლო როცა ბრალს იმაში ადებენ რომ თავის დროს საჭირო საშუალება არ უხმარიათ, მაშინ პასუხის გებაც საერთოდ მთელს კოლეგიას მოეთხოვება. ამიტომ ეხლანდელი ბრალდებულნიც ერთიანად პასუხის მგებელნი არიან იმაში, რომ საკმარისად არ ცდილობდნენ სასანიტარო, სავაჭრო- სამეურნეო პოლიციასა და სხვა ნაწილებშუ საჭირო ღონე ეღონათ. ამ საგნის შესახებ თვით სენატმაც განმარტა 1896 წელს № 17, რომლის ძალით მთელი კოლეგიაც შეიძლება საერთო პასუხის გებაში მიეცეს“.

„ერთი გარემოება მინდა კიდევ აღვნიშნო თქვენს წინაშე: სისხლის სამართლის საქმეში თითქმის ყოველთვის არის სამოქალაქო მომჩივანი, ამ საქმეში კი არ არის, მაგრამ ეს კიდევ არ ნიშნავს, რომ არავინ იყოს ისეთი, რომელსაც ზარალი არ ენახოს. პირ-იქით, ქალაქია ასეთი დაზარალებული ბრალდებულთა მეოხებით. აქ, თქვენს წინაშე თუ არ არის ამ საქმეში ზარალის აღდგენის მთხოვნელი—ეს იმიტომ, რომ საბჭომ არ ისურვა თავისი წარმომადგენლის გამოგზავნა, იქ უფრო დას-დასობას უყურებენ, თავისს თავმოყვარეობას უფრო ემსახურებოდენ, ვიდრე ქალაქის ინტერესებს. ამიტომაც თქვენ, ბატონო მსაჯულნო, შემოგცქერიან მთელი ქალაქის მცხოვრებნი და მოელიან თქვენს სამართალს, რომლითაც უნდა გამოაცხადოთ, რა უფრო საჭიროა მათთვის—მშვენიერი სიტყვები მოწმებისა, თუ ქალაქის მართვა-გამგეობის კანონიერად და წესიერად წარმოება. თუ თავის თავი არ მიაჩნდათ ამ ინტერესებისათვის გამოსადეგად, გამგეობის წევრნი მოვალენი იყვნენ ადგილი სხვისათვის დაეთმოთ. თუ ბუხჰალტერია არ იცი, თავისს საკუთარ ბუხჰალტერიას ნუ კი იგონებ, მოიწოდე ამის მცოდნე კაცი“.

ამის შემდეგ პროკურორის ამხანაგმა დაიწყო დაწვრილებით გარჩევა იმისი, თუ რა მდგომარეობაში იყო ქალაქის მეურნეობა. ბრალმდებელის სიტყვით, „გამოძიებამ დაამტკიცა, რომ აქ სრული არეულ-დარეულობა იყო და თავისნებობა. ქალაქის სავაჭრო-სამეურნეო პოლიციაში ბევრი მოსამსახურე იყო, მაგრამ ისე მოქმედებდნენ როგორც ნებავდათ და როგორც მათი ადათი და ჩვეულება მოითხოვდა, არავითარი წერილობითი ინსტრუქცია მათ არ ჰქონდათ, თუმცა საბჭოს კომისას არა ერთხელ დაუვალებია ამის შედგენა; ამასვე თხოულობდა სავაჭრო პოლიციის უფროსი ზედამხედველი ჯაბადარი“.

მერე ბრალმდებელი იმ რიგად მოჰყვა ბრალდებულთა გამტყუნებას, როგორც ეს სამბრალდებლო ოქმში იყო ჩამოთვლილი: მარკების დარიგება, იმათი ანგარიში, ხარჯის ამკრებთ სრულიად ფულს არ მიუტანდნენ ჩასაბარებლად; ერთი სიტყვით, ბოროტ-განზრახულებას ფართო გზა ჰქონდა და არავითარ ყურადღებას არ აქცევდა გამგეობა, თუმცა კომისიებიცა და კერძო კაცებიც ამაზედ ხშირად მიაქცევდნენ გამგეობის ყურადღებას.

ახლა ქალაქის უძრავ ქონებათა მართვაზე გადავიდა პროკურორის ამხანაგი: არ ჰქონდათ არც ქალაქის პლანი, არც ინვენტარი არ ცდილობდნენ ქალაქის ადგილები კარგ ფასებში გაექირავებინათ ან იჯარით გაეცათ; საიჯარო ფასები ან ქირები დროზედ არ იკრიბებოდა და წლობით რჩებოდა კასის გარეშე. ამგვარივე უთავბოლობა იყო სახლებზედ გაწერილ ხარჯების აკრებაში, რის გამოც მეპატრონეებზე დარჩენილი ფული 9898 წელში 300 ათას მანეთს გადაემატა. ხოსროევის სიტყვით, ეს იქიდან წარმოსდგა, რომ სისტიკი ღონისძიება რომ ეხმარა გამგეობას ამ ფულების აკრებაში, საბჭო არ მოუწონებდა ამასო. რა საჭირო იყო ქალაქისთვის სესხების ძებნა, როცა ამდენი ფული აუკრებელი რჩებოდა წლობითაო.

სამშენებლო განყოფილებაშიაც დიდი არეულობა და უწესოება იყოო, განაგრძო ბრალმდებელმა: აქ არ იყო წესად შემოღებული, რომ ქალაქის ქუჩების გადაკეთება შემოწმებულიყო, დიდი სამუშაო რამ თუ ჰქონდა ქალაქს, არასოდეს მოიჯარადრეს წერილობითი პირობას არ შეუკრავდენ, ხშირად დამტკიცებულ ხარჯსა და პროექტსაც გადავიდოდნენ ხოლმე, როგორც ეს მოხდა საავადმყოფოების აგებაში და საქონლის საკლავის გადაკეთებაში. როცა გუბერნატორმა ქალაქს მოსთხოვა წარმომიდგინეთ იმის ცნობა, თუ რამდენი ვალი აქვს ქალაქს და რა შემოსავალი ჰქონდა უკანასკნელ წელსაო, გამგეობამ შეადგინა შემცდარი ცნობა და ამიტომმოხდა, რომ ნება მიიღო ქალაქმა ტრამვაის გამოყიდვისა და იმის წარმოების საქმე თვით ქალაქს მიეცა. ასე რომ არ ყოფილიყო, ქალაქი ამის ნებას არ მიიღებდა და რაც ტრამვაის მოწყობას დასჭირდა და ქალაქისათვის საზარალო იყო, ამ ფულის დახარჯვასაც ასცილდებოდა.

რა იყო ბუხჰალტერიის დავთრები—ეს მხოლოდ ივანენკომ და გამგეობის მუხჰალტერმა ერმიშევმა იციანო, რადგან მუხჰალტერიის მცოდნეთ იქ ვერა გაიგეს-რაო.

ასე აღნუსხა პროკურორის ამხანაგმა ყოველივე მუხლი საბრალმდებლო ოქმიდან და ნათქვამიდან ის დასკვნა გამოიყვანა, რომ ქალაქის მეურნეობის ყოველსავე ნაწილში სრული უწესოება იყოო, რის გამოც დიდი ზარალი მოუვიდა ქალაქსაო. არ შეგვიძლიან ამ ზარალის ანგარიში იმიტომ, რომ არავინ არ უჩივის ბრალდებულთ ამ ზარალსა. ნუ შევალთ იმის გარჩევაში, რატომ არ უჩივიან, მხოლოდ ის კი უნდა ვსთქვათ, რომ ზარალის აღდგენა რომ შეგვეძლოს, დიდს გაოცებას მივეცემოდით, როცა იმას დავინახავდით, [illegible] ეს მოხდა სწორედ იმ „ოქროს ხანაში“, რომელიც აქ აღნიშნეს, ე. ი. 1897 და 1898 წლებში. რატომ ეს ორი წელიწადია ნიშანში ამოღებული—ეს მთავრობის განკარგულება იყო და ჩვენც უნდა ამის თვალით შევხედოთ. რაც გამოძიებამ აღმოაჩინა, მე სრულ ჭეშმარიტებად მიმაჩნია და გთხოვთ ყველა ბრალდებულთ ისე მიუსაჯოთ, როგორც ამას საბრალმდებლო ოქმი ითხოვს.

გამომცემელი და დრ. რედაქტორი ად. ჯაბადარი.

განცხადებანი

—

გამოვიდა ძმ. თავართქილაძეების გამოცემული:

1) კედლის კალენდარი
40 კაპ.

2) «საყოველთაო კალენდარი»
20 კაპ.

შინაარსი: კალენდარი მართ-მადიდებელთა, კათოლიკეთა და გრიგორიანთა. საეკლესიო სახარება მღვდელთათვის სახელმძღვანელო, დარ-ავდარი, მთვარის ანგარიში, ოჯახში სახმარებელი ცნობანი და მეურნეობა, საქონლის წამლობა და სხვა-და-სხვა...

სალიტერატურო ნაწილში არის სხვათა შორის **„მოსე მწერალი“** გ. ნანეიშვილისა, **ნადირობა** გ. ხბაშმისა, **სიტყვა გაბრიელ ეპისკოპოზისა** და სხვა მრავალი.

3) უბის წიგნი კალენდრით
ფ. 30 კაპ.

უმთავრესი საწყობი ბათომში გამომცემლებთან. წვრილად გასაყიდად დარიგებულია ყველა წიგნის მაღაზიებში. (5—4)

ტფილისის ქალაქის
გამგეობა

ამით აცხადებს, რომ მის თანადასწრებით, 18 ამა დეკემბერს, შუადღის 12 საათზე დანიშნულია საჯარო ვაჭრობა, რომლით გაიცემა იჯარით ბეტონის წყლის მილის გაკეთება, 34,00 საჟენისა (0,375 × 0,25 დიამეტრისა); მილი დაიწყება აწ არსებულიდან ვოზნესენსკის ქუჩაზე, გაივლის შვენდისის ვიწრო ქუჩით კამოევის სახლამდე; სამუშაოს ღირებულება 720 მან.

ვისაც სურს მონაწილეობა მიიღოს ვაჭრობაში, დაწვრილებითი პირობების განხილვა შეუძლია გამგეობის აღმშენებელ განყოფილებაში ყოველ-დღე, კვირა-უქმების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 3-მდე. (ნ.3—2)

წარსული წლების ჟურნალი
„მოამბე“

გაიყიდება შემდეგ ფასებათ: 1894 და 1895 წ.წ.—შვიდ-შვიდ მანეთად; 1896, 1897, 1898 და 1899 წ.წ.—ხუთ-ხუთ მანეთად; ხოლო 1900 წ. «მოამბე» 1901 წ. ხელის მომწერთათვის ღირება ხუთი მანეთი.

ქალაქ გარეშე მცხოვრებთ თითო წლის ჟურნ. «მოამბის» ფოსტის ხარჯათ 60 კაპ. უნდა გამოგზავნონ.

ჟურნ. «მოამბის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію журнала «Моамбе».

მიიღება ხელის მოწერა

წელიწადი
დამდეგ 1902 წლისათვის
მეათე

საპოლიტიკო, სამეცნიერო და სალიტერატურო ნახატებიანი გაზეთი

„კვალი“

გამოვა 1902 წელსაც ყოველ კვირა დღეს, ერთიდან სამ თაბახამდე.

წლის განმავლობაში „კვალში“ დაიბეჭდება მეცხრამეტე საუკუნის მოღვაწეთა სურათები (ევროპის, რუსეთის და ჩვენის) მათი ბიოგრაფიებით. განსაკუთრებული ყურადღება მიექცევა ქართველ მოღვაწეებს.

გაზეთი წლიურათ ღირს ტფილისში 7 მან., ტფილისს გარეთ 8 მან., ნახევარი წლით ტფილისში 3 მან. 50 კ., ტფილისს გარეთ 4 მან., ხოლო სამი თვით 2 მან., თითო ნომერი სამი შაური. ადრესის გამოცვლა ტფილისს გარეთ ღირს ორი აბაზი.

ხელის მომწერლებს შეუძლიათ წლის ფული ნაწილად შემოიტანონ.

ხელის მოწერა მიიღება

ტფილისში: «წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების» კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, სათავად-აზნაურო ქარვასლა), რკინის გზის სადგურზე—პირველ კლასის ბუფეტში ესტატე ჩხარტიშვილთან და თვით „კვალის“ რედაქციაში, თეატრის ქ., № 12.

ქუთაისში: მიტროფანე ლაღიძესთან და ვ. ბეჟანიშვილის წიგნის მაღაზიაში; ბათუმში: კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიაში და სახალხო უფასო სამკითხველოში; ოზურგეთში და ახალ-სენაკში: კ. თავართქილაძის წიგნის მაღაზიებში: ჭიათურაში: კალისტრატე ჰეჰინაძესთან და ბერიძესთან: ყვირილაში: ივანე ორდიშვილთან; დაბა ხონში: სახალხო სამკითხველოში.

(ზ. 3—1)

ფოსტის ადრესი: Тифлисъ. Редакція „КВАЛИ“.

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 Декабря 1901 г.

ელექტრონით მბეჭდავი სტამბა წიგნების გამომც. ქართ. ამხანაგობისა.